ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3407570

ნომერი: AR1521970

თარიღი : 11.07.2017

გაცემის თარიღი : 25.07.2017

გაცნობის თარიღი : 25.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მცხეთა , N 48-50 / ქალაქი თბილისი , ქუჩა მარუხის გმირები , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აბესალომ შავგულიძე პ/ნ 01024011277
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 4 ბ. 15

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 მარტის №ა474 ქალაქთმშენებლობითი პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 11 ივლისს AR1521970 განცხადებით მომართა აბესალომ შავგულიძემ და მოითხოვა ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 მარტის №ა474 ქალაქთმშენებლობითი პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის მიერ 2006 წლის 21 მარტს ქალაქ თბილისში, მარუხის გმირების N8-ში და მცხეთის გასავლის N3-ის, N5-ის მიმდებარედ არსებულ

მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N1/14/11/41/23, N1/14/11/41/2. ფართობი: 4529 კვ.მ.) საცხოვრებელი კომპლექსის განთავსების მიზნით გაიცა №ა474 ქალაქთმშენებლობითი პირობები.
დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება ერთი საკადასტრო ერთეული (საკადასტრო კოდი: N01.14.11.041.026) და ფართობი 3480 კვ.მ. აღნიშნულ მიწის ნაკვეთს ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 23 ივნისის N1317 განკარგულების საფუძველზე მიენიჭა პარამეტრები: კ–1=0.6 და კ–2=3.1 და გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ტერასული საცხოვრებელი კომპლექსისთვის კიდევ ერთი ბლოკის, საბავშვო ბაღისა და პანდუსის მოსაწყობად.
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას ახალი საკადასტრო მონაცემების დასაფიქსირებლად, რაც სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 მარტის №ა474 ქალაქთმშენებლობითი პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდით: N01.14.11.041.026; ფართობი, 3480 კვ.მ. რეგისტრაციის ნომერი N882015142593, თარიღი 19.06.15.)
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 მარტის №ა474 ქალაქთმშენებლობითი პირობებთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.